სახელმწიფო
ბიუჯეტი

# საგადახდო მოთხოვნა # 03204

*(დამტკიცებული ხაზინაში)*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სახაზინო კოდი | 59 01 | დასახელება | **სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი"** | | |
| ვალდებულების # | 1155 | მოთხოვნის საფუძველი | **წინასწარი გადახდა** | | 65 |
| საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი | 31.1.1.2 | თანხა ლარებში | 2,350.00 | თანხა სიტყვით | **ორი ათას სამასორმოცდაათი ლარი** |
| განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი | | | | 203831363 | |
| დასახელება | **სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი "საქპატენტი"** | | | | |
| მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი | | | 202052580 | | |
| დასახელება | **სს "თელასი"** | | | | |
| მიმღების ბანკის კოდი | | | UGEBGE22 | | |
| დასახელება | **ქ.თბილისი, სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"** | | | | |
| ანგარიშის # | GE72VT6600000002603603 | | საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი | | |
| გადახდის დანიშნულება | | **სხვა - ადმინისტრაციული შენობების გამრიცხველიანების ხარჯი(მიმდინარე წლის ხარჯი)** | | | |

| | | |
|---|---|---|
| *მოთხოვნის დამატება:* | თამარ კუკულავა | 15/08/2018 15:18 |
| *მოთხოვნის განახლება:* | თამარ კუკულავა | 15/08/2018 15:19 |
| *მოთხოვნის დამოწმება:* | თამარ კუკულავა | 15/08/2018 15:19 |
| *მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში front-ოფისიდან:* | თამარ კუკულავა | 15/08/2018 15:19 |
| *მოთხოვნის მიღება:* | მედეა მორჩილაძე | 16/08/2018 10:09 |
| *ბანკში გაიგზავნა:* | | 16/08/2018 10:33 |

16/08/2018

ტრანზაქცია
განხორციელებულია

სსიპ. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული

ცენტრის “საქპატენტის” თავმჯდომარეს

ბატონ ნიკოლოზ გოგილიძეს

სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის ბადრი მანჯგალაძის

# მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

ბატონო ნიკოლოზ,

ქ. თბილისში რამიშვილის №4-ში და რამიშვილის №31-ში ელექტრო ენერგია მოგვეწოდება სახალხო დამცველის აპარატის ოფისიდან. გამომდინარე იქედან რომ, ოფისი ავარიულ მდგომარეობაშია და თან თანამშრომლებმა დაცალეს შენობა, შესაძლებელია მოხდეს შენობის დემონტაჟი ან გასხვისება, რაც გამოიწვევს ჩვენი ოფისების ელექტრო ენერგიის გარეშე დარჩენას.

დამოუკიდებელი დენის წყაროს მოსაძიებლად მივმართედ თელასს. იმისათვის რომ თელასმა დაიწყოს საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოები, ავანსის სახით ითხოვს სამუშაოს ღირებულების 50%-ის წინასწარ გადახდას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ დაავალოთ ზემო-აღნიშნულის უზრუნველყოფა.

პატივისცემით

ბ. მანჯგალაძე

15.08.2018.

შემოსული №. 630
"15" 08 2018

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №27
2014 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

## „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვადგენთ:**

**მუხლი 1**
,,ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების (სსმ III, 22.09. 2008, №140, მუხ.1385) დანართი №4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №4

„0,220 კვ, 0,380 კვ და 6/10 კვ ძაბვის ახალი მომხმარებლის

გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური

1. 0,220 კვ, 0,380 კვ და 6/10 კვ ძაბვის ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური შეთავაზებული პაკეტის მიხედვით:

ა) ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების განსაზღვრულ ვადაში (პერიოდში) უზრუნველყოფის (ელექტროენერგიით მომარაგების განსაზღვრულ ვადაში დაწყების) შემთხვევაში:

| ძაბვის საფეხური, კვ | სიმძლავრე, კვტ | ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა (სამუშაო დღე) | ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური დღგ-ს ჩათვლით, ლარი |
|---|---|---|---|
| 0.220 | 1-10 | 35 | 400 |
| | 1-10 | 35 | 1200 |
| | 11-30 | 40 | 4700 |
| | 31-50 | 40 | 7000 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| 0.380 | 51-80 | 45 | 10500 |
| | 81-100 | 45 | 12000 |
| | 101-125 | 45 | 14000 |
| | 126-200 | 45 | 21500 |
| | 201-320 | 60 | 33000 |
| | 321-500 | 60 | 50500 |
| | 501-800 | 90 | 80000 |
| | 801-1000 | 90 | 100000 |
| 6.-10 | 1-500 | 60 | 48500 |
| | 501-1000 | 90 | 94000 |
| | 1001-1500 | 90 | 137000 |
| | 1501-2000 | 90 | 177000 |
| | 2001-3000 | 90 | 257500 |
| | 3001-5000 | 90 | 416000 |

ბ. ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში (პერიოდში) დაუსრულებლობის (ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის) შემთხვევაში ახალი მოხმარებლის მიერთების საფასური შეადგენს ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტში მოცემული მიერთების საფასურის 50 %–ს (შეთავაზებული პაკეტების მიხედვით).

2. როდესაც განაწილების ლიცენზიატის მიერ განაცხადით მოთხოვნილი მიერთებისათვის საჭირო ქსელის გაყვანა (მშენებლობა ) არ საჭიროებს რაიმე სახის თანხმობის ან ნებართვის მიღებას, ასეთ შემთხვევაში ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა განისაზღვრება 0,220 და 0,380კვ. ძაბვაზე - 20 დღე, ხოლო 6/10 ძაბვის საფეხურზე - 40 დღე (აღნიშნულის შესახებ მიერთების მსურველს (განმცხადებელს) უნდა ეცნობოს განაცხადის სრულყოფილების დადგენის შესახებ შეტყობინებასთან ერთად, განაცხადში მითითებული საშუალებით წერილობით ან ელექტრონულად).”

**მუხლი 2**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე | ირინა მილორავა |
| კომისიის წევრი | სერგო მესხი |
| კომისიის წევრი | გოჩა შონია |